

სსიპ – ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2019 წლის 28 მაისის ბრძანება №128/01-01 საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა- ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2019 წლის 28 მაისის ბრძანება №129/01-01 საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა ბიომრავალფეროვნება და კათედრა მორფოლოგია, გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის № 6 3/2019 დადგენილების პუნქტი 6.-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

### შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

„16“ ივლისი, 2019 წ.

17:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი: 1. პროფ. დიანა ძიძიგური (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. პროფ. ნანული დორეული; 4. ასოც. პროფ. მანანა გორდუზიანი (კომისიის მდივანი), 5. ასოც. პროფ. მაგდა ალანია.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია ასოცირებული პროფესორის, კათედრა ბიომრავალფეროვნება ასისტენტ პროფესორის, კათედრა მორფოლოგია ასისტენტ პროფესორის ვაკანსიებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპისა და საცდელი ლექციის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯამების შესახებ.

**კონკურსანტი ბუციკო ჩხარტიშვილი**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ბუციკო ჩხარტიშვილის განათლება (კვალიფიკაცია ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი), აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკად. დოქტორი, დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება სპეციალობით ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია), სამსახურებრივი გამოცდილება (1970-1974წწ ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა სტრუქტურების შემსწავლელი ლაბორატორია, მეცნიერ-თანამშრომელი. 1974-1988წწ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, კვლევის ცენტრი, მეცნიერ-თანამშრომელი; 1988-2006წწ თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა, დოცენტი; 2006-2016 წწ თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი) და პედაგოგიური სტაჟი - (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და

სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

**II კატეგორია** - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (1988 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა კათედრის დოცენტისა და ასისტენტ პროფესორის თანამდებობები) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა** - (1. მულტიდისციპლინარული სახელმძღვანელო „გარემო და ჯანმრთელობა“ 2. მულტიდისციპლინარული სახელმძღვანელო „სოციალური ეკოლოგია“ (რედაქტორი), 3. სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის“ (რედაქტორი), 2007წ. 4. ტვინის ღეროს ფიზიოლოგია (ნაბეჭდი), 2008წ. 5. ჰომეოსტაზი - [www.e-learning.tsu.ge](http://www.e-learning.tsu.ge).

**კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები** (სწავლების ახალი მეთოდები - აშშ/სტუ), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (13) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“**.

**III კატეგორია-სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა** -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 6 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მამილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 13 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 4 საგრანტო პროექტის მუშაობაში. ბ. ჩხარტიშვილს აქვს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გამოცდილება (ქ. პეჩი უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, სანტა-კლარას უნივერსიტეტი, კალიფორნია, აშშ, მეინის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პორტლენდი, აშშ).

სამეცნიერო კვლევების კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**. აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ იგი არის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის „ნეირობიოლოგიის აქტუალური საკითხები“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. მოსწავლეთა და სტუდენტთა მოხსენებების სექციის თავმჯდომარე; საჯარო კოლეჯებისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ/მასწავლებელთათვის ლექციათა ციკლის ორგანიზატორი; აქტიურად მონაწილეობს ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებში ევროპული სკოლის მოსწავლეების ინტეგრირება საქმეში. მონაწილეობს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამაში. არის რამდენიმე სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი, მიღებული აქვს ბერიტაშვილის სახელმწიფო პრემია და განათლების სამინისტროს მადლობის სიგელი, დასახელებულია 2003 წლის საუკეთესო ლექტორად. საფუძვლიანად ფლობს ინგლისურ, რუსულ ენებს. ბუციკო ჩხარტიშვილის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

### **კონკურსანტი ნინო გოცამე**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ნინო გოცამის განათლება, (კვალიფიკაცია ბიოლოგიის ბაკალავრი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი; ბიოლოგიის მაგისტრი),

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიოლოგიის დოქტორი). სამსახურებრივი გამოცდილება (2006 წლიდან სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის უმდაბლესი მცენარეების განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი, ასისტენტ-მკვლევარი; ყიული შარტავას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტი, მოწვეული ლექტორი; სასწავლო უნივერსიტეტი „მიმი“ და უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო კოლეჯი. ჯანდაცვის ფაკულტეტი, ასისტენტ - პროფესორი; სასწავლო ცენტრი „ნატურის ხე“ და სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - ბიოლოგიის მასწავლებელი; საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, დირექტორი და სხვ.) და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი). შესაბამისად, I კატეგორიის მიხედვით კონკურსანტ ნინო გოცამის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (ყიული შარტავას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; სასწავლო უნივერსიტეტი „მიმი“ და უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო კოლეჯის ასისტენტ - პროფესორი; სასწავლო ცენტრი „ნატურის ხე“ და სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი - ბიოლოგიის მასწავლებელი;) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი). კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები, მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. ამასთან, კონკურსანტის მიერ მოწოდებული საბაკალავრო (2) და სამაგისტრო (4) სასწავლო კურსებიდან მხოლოდ ერთია (ბოტანიკა) თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კურსების შესაბამისი. იმისდა მიუხედავად, რომ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს, კონკურსანტის შეფასება II კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

III კატეგორია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კონკურსანტს არა აქვს პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში (3.2) აქვს სამი სტატია, ბოლო 6 წლის განმავლობაში ჰქონდა მოხსენება 5 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 1 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტში, 2014-2015 წლებში თანამშრომლობდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (KEW, BGCI). კონკურსანტის დაბალი სამეცნიერო აქტივობიდან გამომდინარე III კატეგორიის ორივე ნაწილში მას მიენიჭა შეფასება „საშუალო“.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) - მუშაობდა „თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020“ - დოკუმენტზე, საერთაშორისო ფორუმი „მწვანე დღეები საქართველოში“. პროექტზე, საქართველოს სატყეო ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტზე, იყო ბოტანიკური ბაღის ოფიციალური სტატუსის მინიჭების 170 წლისადმი მიძღვნილი სემინარის: „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის წარსული, აწმყო და მომავალი“ - ორგანიზატორი, ჯგუფი „ბოტანიკური ბაღის მეგობრები“ და „ეკო-სკოლა“ - პროექტის ავტორი. გამოსაცემად ამზადებს ორ წიგნს, ფლაიბს რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებსა და კომპიუტერულ პროგრამებს, თეორიულ და კომპიუტერულ ბუღალტერიას. კონკურსანტი IV კატეგორიის ორივე პუნქტის მიხედვით იმსახურებს შეფასებას „მაღალი“.

#### კონკურსანტი ლევან რუსიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ლევან რუსიშვილის განათლება, (კვალიფიკაცია ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი), აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიოლოგიის დოქტორი). სამსახურებრივი გამოცდილება (1991-2006 წლებში სხვადასხვა დროს იყო თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის

განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორიის ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2006 წლიდან - დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის, მორფოლოგიის კათედრის, ლაბორანტი) და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი). შესაბამისად, I კატეგორიის მიხედვით კონკურსანტ ლევან რუსიშვილის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (წლების მანძილზე ატარებს პრაქტიკულ და სასემინარო მეცადინეობებს მორფოლოგიის კათედრაზე;) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ტოქსიკოლოგია <http://e-learning.tsu.ge> ; <http://e-learning.tsu.ge/course/view.php?id=1881>), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ მოწოდებული ყველა საბაკალავრო/სამაგისტრო სასწავლო კურსი თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კურსების შესაბამისია, მათი ნაწილი ბიოლოგიის დეპარტამენტის, ნაწილი კი მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის, თუმცა, ამ სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად კონკურსანტის შეფასება II კატეგორიის მიხედვით არის „საშუალო“.

III კატეგორია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კონკურსანტს აქვს 3 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 21 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის განმავლობაში მოხსენება ჰქონდა 3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, კონკურსანტს III კატეგორიის ორივე ნაწილში მიენიჭა შეფასება „მაღალი“.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) - ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, კომპიუტერულ პროგრამებს, მონაწილეობდა გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის (GCCW-ბუდე), არასამთავრობო საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ECOSCOP“-ისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მუშაობაში. სხვადასხვა წლებში მონაწილეობას იღებდა საგრანტო პროექტების განხორციელებაში.

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი, გასაუბრება. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტებმა უპასუხეს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტების სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მათეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტების პიროვნული თვისებები.

კონკურსის მეორე ეტაპზე გამოავლინდა, რომ კონკურსანტების - ბუციკო ჩხარტიშვილისა და ლევან რუსიშვილის კანდიდატურები სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტზე, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიისა (ასოცირებული პროფესორი) და მორფოლოგიის (ასისტენტ პროფესორი) კათედრებზე - არსებულ ვაკანსიებთან.

კონკურსანტი ნინო გოცაძე კი, კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრების ეტაპის შემდეგ საცდელ ლექციაზე იქნა მოწვეული. ლექციის თემა, ფორმატი და ხანგრძლივობა წინასწარ იყო განსაზღვრული. ლექციის დასრულების შემდეგ მომხსენებელს დაუსვეს სალექციო თემის ირგვლივ წამოჭრილი კითხვები, რომელთა ურავლესობას კონკურსანტმა ვერ უპასუხა, ან მისი პასუხები იყო არაზუსტი და ზედაპირული. ლექციის ფორმატი არ იყო გამართული, იგრძნობოდა ლექტორის გამოცდილების სიმწირე.

შეფასების პირველი, მეორე ეტაპებისა და საცდელი ლექციის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებდა ასოც. პროფ. მაგდა ალანია

(დადგენილება #118/2014, მუხლი 8, პუნქტი 2). ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია:

ბუციკო ჩხარტიშვილი - 4 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

ლევან რუსიშვილი - 4 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

ნინო გოცაძე - 1 მომხრე, 3 წინააღმდეგი.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია - ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე, კათედრა - ბიომრავალფეროვნება - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე და კათედრა - მორფოლოგია - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპებისა და საცდელი ლექციის შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატები:

ბიოლოგიის დეპარტამენტი

კათედრა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია

ბუციკო ჩხარტიშვილი - ასოცირებული პროფესორი

ბიოლოგიის დეპარტამენტი

კათედრა - მორფოლოგია

ლევან რუსიშვილი - ასისტენტ პროფესორი

ბიოლოგიის დეპარტამენტი

კათედრა - ბიომრავალფეროვნება

ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამარჯვებული არ გამოვლინდა

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 16.07.2019

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.

/დ. მიმიგური

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.

/ა. გუგუქორი/

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.

/მ. გორდეზიანი/

კომისიის წევრი, პროფ.

/ნ. დორეული/

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.

/მ. ალანია/